კვირა. 14 აგვისტო 1927 წ. № 113 ფასი სამი შაური

ტარტაროზი

კოოპერატიული შენიშვნა



კოოპერატორი (მოხსენებაზე)—მაშ ამნანავო გლეხებო იცოდეთ, რომ კოოპერაცია საშეალებაა ეკონომიის და ჩარჩ სპეკულიანტების წინააღმდეგ. ამიტომ ყოველთვის მაღლა გვეჭიროს კოოპერაციის დროშა!

ხმა ხალხიდან—დროშა კი გვეჭიროს მაღლა, მარა თუ კაცი ხარ სამაგიეროთ ფასები დაუწიე დაბლა!

„ხაზეინი“ და მოჯამაგირე

(ანუ ზლაპარი რწყილისა და ჭიანჭველის შესახებ)

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ბურჟუა და მენშევიკი.

ბურჟუა და მენშევიკი დაძმობილდენ, ხელი-ხელს მისცეს და სთქვეს:

— ძმა ძმისათვის, ამ დღისათვისაო: კანი თუმცა სხვადასხვა გვაქვს, მაგრამ ერთი სისხლი და ხორცი ვართ,
 გზა და მიზანი ერთი გვაქვს,
 მოდი და ერთად ვიაროთ,—
 ჭირი და ლხინი ცხოვრების
 ერთმანეთს გაუზიაროთ...

კარგია, უთხრა მენშევიკმა და გაუდგეს გზას... ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგენ ერთ მდინარეს: ატეხილსა და აბორგვილს, ბობოქარსა და გოროზს, მისი ტალღები ვეფხვის ტორებივით სცემდა ნაპირს, კალაპოტიდან ვარდებოდა, ტორტმანობდა, ბორგავდა და ქვეყანას წალეკვას უქადდა.

ბურჟუა შეშინდა, შეშფოთდა და სთქვა:

— მენშევიკ, ძმაო მენშევიკ, მე მეშინიან ამ მდინარისა; მის ტალღების გუგუნში ჩემი განკითხვის ხმები მესმის, შურისძიება მიყურებს სისხლიან თვალებით, თითქოს აღსასრული მიახლოვდებოდეს ბასრი ბრჭყალებით და მიპირებდეს ყელში წაჭერას, მიშველე ძმაო მენშევიკ, გადამარჩინე განსაცდელს!..

მენშევიკმა დამშვიდებით მიუგო:

— ჩემი თავი შენ შემოგევლოს, აქ არაფერია საშიში, ეს ბობოქარი ტალღები რევოლიუციაა, შავი ხალხი თავისას თხოულობს, იბრძვის, ტალღებად ბორგავს და თუ კალაპოტი გადმოლახა, ოღონდაც რომ საშიშია, მაგრამ დამშვიდდი, მაგის წამალი მე ვიცი, თვალთმაქცი მარჩიელებისაგან *) დამზადებული ავგაროზი გულს დავიკიდოთ, ის დაგვიფარავს, ხოლო ამ ტალღების ცალი სადავე ჩემს ხელშია, მე მაქვს მისი დასაძინებელი წამალი, შემაჯექი ზურგზე, მე გადაგარჩენ, გავცუროოთ და სამშვიდობო ნაპირზე გავიდეთო.

ბურჟუა მოაჯდა მენშევიკს მხრებზე.

მენშევიკი გახედნილი გამოდგა, მართლაც თვალთმაქცური წამლით დააძინა მღელვარე ტალღები და ბურჟუა მშვიდობით გაიყვანა ნაპირზე.

როცა სამშვიდობოს მიადგენ, ბურჟუამ უთხრა:

მენშევიკ, შენი ზურგი მომეწონა, ძალიან მომეწონა: რბილი ხავერდის სავარძელი, თივთიკოს სასთუმალი მაგასთან მიქარავა, მე უძლური და მოფახფალებული ვარ, ქონი გულს შედება, მუცელი სიმძიმით დაბლა იწევს, ფენით სიარული ჩემთვის ძნელია,—შენ კი უფრო მკვირცხლი და ამტანი ხარ: მატარე შენის ზურგით ძმაო მენშევიკ, მაგისთვის მე ოქროს მოგცემ, ნასუფრალს გიწყალობებ, გამონაცვალ ტანისამოსაც არ მოგაკლებ, ხოლო თუ იყოჩაღე და ერთგულება გამოიჩინე, სავარძელსა და პორტფელსაც მიიღებ!..

— ჩემი თავი შენ შემოგევლოს,

ფოდრათით ავიღებ შენს ზიდვას, შენი ხიდი ვიქნები, ერთგული მოჯამაგირე!..

— ბაშ მოიტა ხელი!

და მენშევიკმა, თავის ძვლიან თითებში ბურჟუას თოხლო ხელი დამუჭა!..

ეს ამბავი მოხდა უხსოვარ დროს, ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვის გადაღმა. მაშინ ქვეყანას ცხრა თავიანი ვეშაპები განაგებდენ და ოქროს ტახტზე ქშინავდა ბურჟუა, რომელიც მშრომელი ხალხის სისხლით იკვებებრდა.

ერთხელ, სიცრუობის დროს, ბურჟუამ შენიშნა, რომ მისი შვრანი სადავეს ოთარ დაემორჩილა, და გზიდან საბალახო ნაპირისკენ გადახრას აპირებდა.

მაშინ ბურჟუა ჩამოხტა და მრისხანედ უთხრა:

— მენშევიკ, ცბიერი და უმადური ყოფილხარ, შენი ჭიხვინი სმენას ატკბობს, თოხარიკიც ჩინებული გაქვს, მაგრამ გული კი ღალატსა მალავს!

ფრთხილად მენშევიკ, მშიერი დარჩები, უტანისამოსო და უსაკვებო, უთავშესაფარო, ოქროს პალატების მაგიერ თავლასაც მოენატრები, მაგრამ გვიანღა იქნება! მენშევიკ, სადაა შენი პირობა?

მენშევიკი ყარაიუსუფივით („ღალატი“ ზეპირად იცოდა) მუხლებზე დაეშხო და დაუწყო ვედრება, ფეხების ლოკვა და კალთების კოცნა:

— ჰოი, მბრძანებელო ჩემო ხაზეინ! მე ნატერფალი შენის ფეხისა შევცდი, გულზე მოდებულმა ქონმა ამიყოლია, გზის იქით გადავიხედე, იონჯა მეგონა, ეს რეთი მაპატიე და შემინდევ,—შენი სახელის მლოცველი ვიქნები, შენს ერთგულებაზე ვიოცნებებ!..

— კარგი, ეს ერთი მიპატიებია, მე სულგრძელი ვარ, ხოლო ჩემი ოქროს ელვარება მზეს ეჯიბრება მენშევიკ, ზაჰესის შუქზე უფრო მძაფრად ელვარებს, და მისი ჩხრიალი სიზმარში მოსმენილ მუსიკაზე უფრო დამათრობელია. აი, ნახე:

და ბურჟუამ ოქროთი სავსე პეშვი თვალწინ აუთამაშა მას. შემდეგ დაიწყო „ოქროს ჰიმნი“-ს ღიღინი, ხოლო მენშევიკმა დაბალი ბანი დააწია მას.

შორიდან ისევ მოისმა ტალღების გუგუნი, ტორტმა-

როცა კარგი ამინდია?

შრომის კომისარიატმა დაადგინა ცუდ ამინდში აკრძალოს ღია ცის ქვეშ მუშაობა.

(გაზეთებიდან).

ქვაფენილზე მომუშავე (სიცხისაგან შეწუხებული)—ჰეი ალლახ! ერთი წვიმა მაინც მოვიდეს, ცოტა გავგრილდე, თორემ მოვკვდი კაცი!

*) თანამედროვე ენაზე იგულისხმება 2-ე ინტერნაციონალი.

გან-ზე-ი ა ბ რ ა ლ ე ბ ა

ჩაიშალა „სამთა კონფერენცია“, რომელიც მოწვეული იყო განიარაღების საკითხის განსახილველად.

(დეპეშებიდან)



შემოკრბენ დასხდენ ილაყბეს ანგელოზისა ენითა:

— „ვისაც კი იარაღი გაქვთ ხუუველამ მოიხსენითა“!..

„კაცთმოყვარული“ ლაქლაქით შეზარბოშდენ და გალალ-

დენ

და ყველა ამის შემდეგა, თქვენც ხედავთ—„განიარაღდენ“

ნის და რისხვის ხმა ქარიშხალივით მოდიოდა, ეხეთქებოდა კუთხიდან კუთხეს, ავსებდა სივრცეებს და ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა.

ბურჟუამ ყურები ჩამოუშვა, შიშის ელდამ გადაჰკრა და იკითხა:

— მენშევიკ, რატომ ისმის ასე მძაფრად ღელვისა და ქუხილის ხმები? თითქოს მე მემუქრება შთანთქმას და დავსებას, მე მეშინიან მენშევიკ, მე სიცოცხლე მინდა, სისხლი და ქონი ჩემი საზრდოა, ხალხის ოფლი კი ტახტია ჩემი, ხოლო ჩემი ოქროები მზესავით ელვარებენ.

შენ მიიღებ ამ ოქროების ნაწილს, თუ გადამატარებ ამ სახიფათო გზას და მშვიდობას დამიბრუნებ. ამას იქით კი შენი რკინის აღვირი შეიცვლება ოქროს აღვირით, ხოლო უნაგირსაც მოხდენილს გიშოვი.

— ფრაკსა ხაზენო, არა? ო, ფრაკი და ცილინდრი, თეთრი ხელთათმანები და ერთი პორტფელი—თუნდ გაცვეთილი იყოს—აი უმაღლესი ნატვრა ჭეშმარიტი მებრძოლის და წინამძღოლის, ჩემი ერთგულება უსაზღვრო იქნება შენდამიო, ხაზენ მიმსახურე...

ასე გადაიქცა „ძმობა“ „ხაზენ-მოჯამაგირეობად“.

ბურჟუა მენშევიკის მხრებზე შემჯდარი—მღელვარე ზვირთების გადალახვას ცდილობდა, უცბად შენიშნა, რომ მისმა მერანმა დაჰკარგა თავისი ჯადო-წამალი და ვეღარ შესძლო ტალღების დაძინება.

— ო, ვიღუპებით ხაზენ, ჩემი წამალი აღარ სჭრის, ეს მღელვარება მეც წალეკვით შემუქრება, ასე გადაიცა სახიფათოა დავბრუნდეთ უკან!...

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲔᲑᲖᲔ

აგარაკებზე მოეწყო ფიზკულტურის მოედნები. (გაზეთებიდან)



მებალე (მაჩხუბრებს)—ამხანაგო აქ პარკში არ იქნება ვარ-ჯიშობა, მოედანზე მიბძანდით!

— მაშ დავიღუპოთ?

— ნუ გეშინიან, მე მეორე საშუალება ვიცი: აი, ამ ბალთას გამოსწოვ და ჭიანჭველად იქცევი, მე კი რწყილად გადავიქცევი და ისე ვიმგზავროთ.

გამოწოვეს. ბურჟუა იქცა ჭიანჭველად, მენშევიკი რწყილად და გაუდგენ გზასა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგენ ერთ მდინარეს. რწყილმა უთხრა:

— მე ვისკუპებ და გადავხტები, შენ რაღა გეშველებაო?

— განა მე კი ვერ გადავხტები?—მიუგო ჭიანჭველამ.

ისკუპა რწყილმა და ნაპირზე გადახტა,—ისკუპა ჭიანჭველამ და შუაწყალში ჩავარდა. ტალღამ შემოჭკრა, გაიტაცა და ამოატივტივა:

იქიდან ჭიანჭველამ მენშევიკს ამოსძახა:

— ძმობილო, ვიღუპები, შენი დახმარება მჭირია: ძმა-ძმისთვისაო, ამ დღისთვისა, გადამარჩინე, ნაპირზე გამომიყვანე და მეც მიმსახურე...

რწყილი ახტა-დახტა, მივიდა რომის პაპასთან.

— პაპავ მოგვეც კურთხევა,
ბურჟუა მეღუპება,—
ეგებ კიდევ ეღირსოს
ტახტზე წამოსკუპება.

პაპამ საყვედურით მიუგო:

—შენ რომ ჩემთვის საქართველოს ეკლესია დაგიქვემდებარებიაო?

რწყილი ახტა-დახტა მივიდა ჩემბერლენთან და უთხრა:

— ჩემბერლენო ძამია,
ხომ არა ხარ ხამია,
ბურჟუა გვეღუპება
გულს გვისერავს შხამია,
დაიპყარ საქართველო,
მოსპე ეს-ეს-ერია,
მე პორტფელი მაჩუქე,
შენ კი გქონდეს ერია,
მაშინ ყველას გვწყალობდეო.

პაპი, კენტერბერიელი!..

ჩემბერლენმა საყვედურით უპასუხა:

— შენ რომ ჩემის დავალებით აჯანყება მოგიწყვიაო!..

რწყილი ახტა-დახტა, მივიდა აბესალომთან და უთხრა:

— აბესალომ, გიბარებ, წადი ნუ დაიზარებ
ეს-ეს-ერი გადავლე, ივეროიას იარე.
და იქ აჯანყებისა ცეცხლი ააპრიალე.

აბესალომმა საყვედურით უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის მანდატი მოგიციაო!..

რწყილი კაბინეტში შეხტა, მანდატი ჩააკვაოაკინა, აბესალომს მისცა და შავს ზღვაზე გადმოახტუნა.

აბესალომს ნახტომი შეეშალა და გეპეუში ჩახტა.

ეს მოხდა წინად, დიდი ხნის წინად, მაგრამ დღესაც ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვას გადაღმა ჩემბერლენი აჯანყებას, უცდის, რომის პაპი ივერიის ეკლესიის „ჩაზაკუსკებას“ კენტერბერგის ეპისკოპოსი საკურთხებს, ხოლო შუა წყალში გაჩხირული ბურჟუა მოუთმენლად მოელის მხსნელს და იძახის:

— მენშევიკ, არ მიღალატო მენშევიკ!..

არა, მენშევიკი არ ღალატობს თავის ხაზეინს!

თარსი.

შედარება

ვინმე სოლომონოვს განზრახული აქვს იმოგზაუროს ფეხით და გაიაროს 36.000 ვერსი.

(გაზეთებიდან).

რედაქტ. პ. საყავრელიძე—ხედავ კაცო, რა წერია დღეს ჩვენს გაზეთში? ვიღაც სოლომონოვი ფეხით აპირობს 36.000 ვერსის გავლას! შენ თუ გაივლი ამდენს!

მხატვარი დონი—ეჰ! ამხ. პავლე! რაც მე გონორარის ასაღებათ ჩვენს რედაქციასა და კანტორას შორის ფეხით მივლია, დამერწმუნე მაგაზე ჰეტი გამოვა!

პოლიკარპეს ბრძნული აზრები

წარსულ დროში (მოსაგონარს—
ვისთვის ტკბილად, ვისთვის ცუდათ)
ამ ცხოვრებას პოლიკარპე
ღდინს აცლიდა, როგორც უნდა:
სადაც კი ფეხს მოიდგამდა
სჭამდა მარჯვნით, სჭამდა მარცხნი
და მხოლო-ღა ჩვიდმეტ წელში
მოუვიდა უცბად მარცხი:
შემოაკლდა სათოხლავი,
ჩასაყლაპ და ჩასახვრეპი,
და მოითქვა ბოლოს სული
გამოცხადდა როცა ნეპი.
აქეთ გაძვრა, იქით გაძვრა
და წავიდა უცბად აღმა,
ერთ-ერთ გამგის მოადგილეთ
წამოსკუპდა ბოლოს რაღა.
გამოკეთდა ოთხ-ხუთ თვეში,
გახდა ღიპი ძველზე მეტი,
და წლის შემდეგ საკუთარიც
გაიჩინა კაბინეტი...
ინეტს კი რა სჯობია?..
მყუდრო ბინა... მყუდრო ისე,
რომ საკუთარ სეკრეტარშას
მუხლებზე და მკლავზე უსმენ.
იყო ასე პოლიკარპე,
სჭამდა ისევ მარჯვნით, მარცხნით

ნიადაგი ჰქონდა მკვიდრი,
არ ელოდა თითქოს მარცხი.
საათობით იზრდებოდა
აიწია კიდევ ზევით.
ერთხელ თავის უბის წიგნში
ჩაიწერა ნააზრევი:

ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა,
ვისაც „ბებია“ არა ჰყავს ცრმლები იმან ღვაროსა.

პოლიკაპემ თავის დარაჯს
დღეს ბრძანება მისცა ქუში:
ვაი შენს ტყავს, კაბინეტში
თუ რომ ვინმე შემოუშვი.
დავიღალე, მომტყდა ხელი.—
და ერევა გულზე ბრაზი.
უნდა თავის უბის წიგნში
კვლავ ჩანიშნოს რამე აზრი.
და შესტოპა ფიქრში სრულად,
ალარ აკრთობს ქაღალდთ ზვავი.
გაქრა პაპკა, კალმისტარი,
სამელნე და სახაზავი.
რა ჩასწეროს?.. რაზე... ვისზე?..
ლამის გასკდეს აგეთ თავი.
ყველა აზრი ისეთია
მოწყვეტილი ვით ვარსკვლავი.
და რომელი ამჯობინოს...
რაზე დადგეს არჩევანი?
რა ძნელია ფიქრი თურმე...
ე... გავარდეს ამას ჯანი!..
წიგნს მიაგდებს პოლიკარპე.
კვლავ მაგიდა... და წინ კარი.
და უეცრად ტელეფონის
აწკარუნდა გვერდზე ზარი.
გასწორდება პოლიკარპე
და აიღებს ხელში ყურმილს.
და ყურს უგდებს ტელეფონის
ჩვეულებრივ ხრინწს და ყმუილ.
—ო, ეს მე ვარ... მე ვარ... მე ვარ...
მე ვარ კაცო, პოლიკარპე!..
შენი დედა!.. ვინ ხარ კაცო,
რომ ახსენებ ჩემს წინაპრებს!..
ხა,ხა,ხა,ხა... შენ ხარ, ანდრო?
თქვი რა გინდა, მითხარ ბარემ?!
მოუსმინა პოლიკარპემ.
უპასუხა პირმკინარემ:
— რა ვიცოდი, თუ მარუსა
მეზობელი არის შენი?..
ძლიერ მომწონს... თეთრი კაბა,
რომ იცოდე, როგორ შვენის.
მივცემ... მივცემ... დარდი ნუ აქვს
უარს ვეტყვი ვიცი ვერა....
და წიგნაკში პოლიკარპემ
კიდევ აზრი ჩაიწერა:

ქალი მოვიდეს ლამაზი, თხოვნა იცოდე არ ვარო.
გაეც ავანსი ავანსზე, ათავისუფლე სალარო

შემდეგ შედგა, გულზე ცეცხლად
ბოეხვია გრძნობა ნაზი,
და სულ ცოტა ფიქრის შემდეგ
მიაყოლა კიდევ აზრი:

გაბედვა, მაგრამ შეტევა, კაცს არ წაახდენს ცხადია,
გამგე ქმარისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია...

ასე იყო კარგი ხანი.
სამი წელი... წლები თაფლის.
ასეთ წლეებს მილიონში
დიდი, დიდი, ასი დათვლის.
არ სცხრებოდა პოლიკარპე,
ძალს იკრებდა, ჰქონდა რაცა.
შასზე დიდ კაცს უყო კვანტი
და დასკუპდა იმის ნაცვლად.
აუსრულდა ყველაფერი.
ინატრებდა ეხლა რასა?
იქვე ახლო, თვით მის ხელში.
ცეცხლუკიდი იყო კასა.
ცეცხლუკიდი ქვია მხოლოდ,
ნამდვილად კი იწვის მუდამ.
(რომ არ დაგწვას რაოდენი
სიფრთხილე და ოფლი უნდა)
უცქეროდა პოლიკარპე
ამ სალაროს, როგორც კატა:
— ღმერთო, სწყალობ ყველას უხვად,
მე კი მტანჯავ ასე რათა?..
დგას სალარო, ვით კლდე სალი.
წინ უძღების კუჭი.
კასა უცბად რომ გაიღოს,
უძღებს რაღა უჭირს.
მაგრამ კასა მაგარია,
დნება ტუჩზე დორბლი,
თუ გაბედე, რევიზია
კურიერსკით მორბის.
ახ, გაიღე კასა შენთვის...
ახ, გაიღე რაღა!..
რომ მოლხენა კაზინოში
მქონდეს მეც ამალამ.
ნაცნობ-მეგობრებში
მეც გავშალო ფრთები.
ო, ეს ორდერები.
და ქვითარ-დავთრები!..
მძიმე იყო ლოცვა
სასოებით ცხელით,
და გაიღო კასაც
და შიგ შეძვრა ხელი.
პოლიკარპემ წიგნაკს
კვლავ მიმართა შემდეგ
და ჩასწერა: (ალბად
არ ელოდა შედეგს).

დააკავებს გამფლანგველს გულში თუ ხრაკავა უზისა.
ვან ყოველი გასწორდეს, კასა რკინის და თუჯისა.

წამოვიდა უცბად ხმები:
რევიზია... რევიზია...
და ყველანი მაგიდებთან
მოწყენილნი, უხმოდ ზიან,
გასჩხრეკენ და გამოსჩხრეკენ.
გაგიშრება უცბად ყელი...
განა არის ქვეყნად ვინმე
უბიწო და უცოდვილი?..
უმნიშვნელო რამესა კი
ჩააგდებენ მძიმე ბრალში,
და ვინ იცის რა მოხდება
უბედურის თავზე მაშინ?!..
აშას ფიქრობს პოლიკარპეც
შემწყვდეული კაბინეტში,
და თავის თავს გულახდილად
ეთანხმება მხოლოდ ერთში:
— რატომ, რატომ უფრო ადრ
არ მიმართა უწვავ კასებს...
და წიგნაკში ნატკენ გულით
მიაწერავს ნაფიც ასე:

ვაფლანგო,ისე გაფლანგე, არ დაგრჩეს კვალის ნასახი.
რა არის იგი გაფლანგვა, რასაცა ახლავს გამსახლი?

სინემატო.

მეცნიერება და ტექნიკა



ახალი სახის ავტომობილები, რომელიც „ტარტარო-ზის" პროექტით უნდა გაკეთდეს ზაფხულობით ქალაქში დარჩენილთათვის.

ევროპეიზაცია

(გაგრძელებიზაცია)

ვ.

დიახ, ჩვენში შემოიჭრა ევროპეიზაცია:
ქართულ ენას წაემატა „იზმი", „ტიზმი" „ზაცია".
ტარტაროზაანთ ბიჭები ყველა კი მამაცია
ქურდ - მეკრთამე - გამფლანგველის, სისხლი ვინც დააქ-
ცია.

—:—

რკინის გზების სამმართველო და აღმინისტრაცია
ფართოვდება კვლავ იზრდება და ხდება ვაჟკაცია;
საქმეს ძველსავე მმართველობს მთელი კორპორაცია,
განყოფილებათ მრავლებას არ აქვს დემარკაცია,—
და მგონი რომ ამუშავდა მაკრატელი-ზაცია.

—:—

ვწუხვარ ჩვენში რომ გავრცელდა ეს ობორტიზაცია.
ტარტაროზ! რათ აგვიანებს ეგ შენი რედაქცია?
თუთხმეტი-ოცი წლის შემდეგ სულ გაწყვება კაცია
არ აფხიზლებს ვინც ამ საქმეს თვალ-ყური ააქცია!

ხიკს—ჩემბერლენ—ზეიპელი... (ჰაცი, გასწი, ჰაციან)
ომის ქარიშხალს გვიმზადებს — ბურჟუათა ფრაქცია
მზადდება დრედნოუტები, ქიმი-ავიაცია
ჩვენც მზად შეეხვდეთ, დავამსხვრიოთ ვით საწერი ცარ-
ცია...

—:—

შესასწავლად დავიარე ინდოეთ — დალმაცია
ინგლისი და ამერიკა, იტალია ფრანცია
არ იქნა ვერ გამოვნახე რამე მახინაცია
რომ ბუდიანათ მოგვესპო ოხერი პროტექცია

—:—

„დღეს სალაროს ჩემო კუკლავ, მე გავართეი ბნაცია,
რა გიყიდო სულის კლიტეე? აგერ ასიგნაცია"
„კომბინიზონ ბალნი კაბა,—ბენაცვალოს ცაცია"
ქმარი ციხეს ცოლი, სხვასთან... ცოლებიც თვალთმაქცია.

ხაჭარელი. ვ.

გათოვიდან

მოვიდა უკვე ბლომად
ექსკურსანტების ჯარი...
ვისაც არ ყავდა სატრფო
აქ გაიჩინა ქმარი...

ბევრ ყმაწვილს დაეკოდა
აქ სიყვარულით გული,
„კურსისტკას“ დაახარჯა
მან „კაზიონი“ ფული.

ბევრი კი მიწვდა მიზანს
არ გაიუქმა ხარჯი,—
სალაროს მიაწერა
მან ღამით დანახარჯი...

მოდის და მოდის ხალხი
სავსეა: ეტლი, ავტო,
დათიკოს თეკლე „ძველი“
მთელ ღამეს ყავდა მარტო.

ამბობენ თურმე ფული
მას დაახარჯა „ცოტა“
რა იქნებოდა თურმე
კუდი რომ გამობმოდა?

ისეა თურმე თაყაც
სალაროს გამგე ძველი,
გამოუცვლია ახლა
თავისი ტანსაცმელი.

სწარმოებს ჯერ აღრიცხვა
სუყველა საქმეების
და გამოჩნდება კიდეც
ნამუშევარი ძმების.

მალე შევხედავთ შედეგს
(ახლოა შემოდგომა)
თუ ვის რამდენხანს უწევს
გაფლანგვისათვის „ჯდომა“

ბლიკი.

აზნაური ლახუნდარელი გაბრაზდა

ლახუნდარელი — ამხანიკო სერგო კლდიაშვილო, როდემდი გინდა მაწანწალო ამ უცხო ქვეყნებში? იწამე ღმერთი, დევიღალეთ მე და ჩემი ჯორი!

შავი ქათამი

ვახ! ბარილუს პარუნ ფარსადან, სკოლკა ლეტ, სკოლკა ზიმ, საიდან მოსულხარ? კაკო სუდბა თიბე ზდეს პრივიოზ? ბორჯომში რა გინდა დაჩნათ ამაიგულავე?

ჩემა მზემ მიამა აი შენი ნახვა, გინდ დაიჯერე, გინდა ნუ მააშ! აი ხომ რამტოლი ფინთი რამე გიქნია ჩემთვისა, რამტოლი ისემე მიშმევია—აბიდად რაღა,ბრიაბროთ გაგიკეთებივარ ჰამა, რაც მართალია, მართალია: ჰუზურში მაინც შამიყვარდი, პაჩტი ძმაკაცათ ჩამიგდიხარ! ქრისტეს სახეს გეფიცები მეთქი, ჩემი სიყმის მზემა ტოჩი-ტოჩნათ გებნები—რაღა.

შენ რომ ტარტაროზში მაგდებდი, მე ვჯვარდებოდი, ვნერვნობდი, მუტრუკ გიქორას ბებუთიც კი გამოვართვი.

— მეთქი სადაც რომ შამხვდება ის ლუპუსტაცი ფარსადანი, შიგ ჯიგარში დავარტყამ, ბოინის კერატივით წავექცევ, რომ მერე ახში ჩემი მახსარათ გაკეთება მაიშალოს, ოდიხი მაქნევინოს, მამასვენოს მეთქი-მააშ!

ახარ თუ პურ-მარილი გწამს, ატკრავენათ მითხარი—ორა რომ შენც შაგეშინდა და მე და ფეფელას ტარტაროზში ჩაგდებას თავი დაანებე? ტოჩი-ტოჩია რაღა, ხვი-ხვიხვი, რა მაზალო ჯეჰელი ხარ შენცა და!..

თურმე მიექარავდი, აშიპკა ვშვრებოდი, ბესპალეზნი ტრიოგგას ვაკეთებდი: ტარტაროზში ჩაგდება ჩემი ხეირი ყოფილა, ჩემი შნო და ლაზათის დამდები, ხალხში გამოსახსვლელი: სლოვომ ზნამენიტი გამხადე რაღა:ვთქოთ მივდივარ იარმუკაში—აქეთ-იქიდან გამოდიან ჯეჰელები და ერთმანეთს ებნებიან:

— სარქის, ნახე, გეო მოდის, ეს ის გეოა აი, რომელსაც რომ ფარსადანი აგდებს ხოლმე!..

— ვაა, მართლა? ეგ ბემურაზი მართლაც ზნამენიტი ყოფილა ხედამ!

— გეოჯან აქეთ მოდი, გეოჯან ჩვენთანაც შამო, რამე თქვი, ჭკვიანი ვინმე ხარ, შენგნით გაგონილი სიტყვა სახეირო რამეა.ჰაზრს ვისწავლით.ქვეყნის ავან-ჩავანს გავიგებთ... აი, სულ ასე მიძახდენ აქეთ-იქიდან. ჰამაც დავერიაც დიდი, პაჩოტი, რამე არაფერ მაკლდა მააშ! ეხლა კი, როცა შენ ხელი აიღე: მითომც კაცი აღარ ვყოფლვარ მითომც გოშპარას ჩაუვლია—ზედ აღარ მიყურებენ, პაჩოტი აღა მიშვრებიან!..

რას გებნები?—პაჟალუსტა, ნუ ჭკურაჟობ, ისევ ჩვენი რამეები ისემე ქენი, ჩაგვიგდე, მეცა და ფეფელოსაც, გებნები გვესიამოვნება—გინდ დაიჯერე, გინდ ნუ.

— ჰოო, შენ მკითხამ თუ ბორჯომში რათ ვიყავი?

დაჩათ ვიყავით, მე და ფეფელო ამოვსულვართ—ხომ იცი, კუჭში პოჩკების კატარი გაუჩნდა, უთხრეს თუ ბორჯომი გიშველისო... ორგო კიდეც, არ დაიჯერეფ?—ერთ თვეში ისეთი ზდაროვი გახდა, რომ გეგონება ქერნაჭამი მუტრუკიაო მააშ!

ძაან დაოლნი ვიყავით. ჰამა ამ ბემურაზმა შავმა ქათამმა ყველაფერი ფუსტიაკი გაგვიხადა, გაგვიბითურა, ისევ ფინთათ გახადა.

მაგრამ შენ ხომ არც კი გეცოდინება ეს სლუჩი, კსტატი გეტყვი რაღა, ჰამ გაგართოფ, ჰამაც ოჩერედი მოგვიახლოვდება.

ორი ქათამი მყავდა: თეთრი და შავი, ნაინტერეს საქონელი იყო, გალანცკი პაროდა—ლემენცისგნით ნუგბარი ჩრიხვები მიყიდნია, შვილივით გამიზრდია, ჭკვიანი და ნასწავლი ქათმები—მააშ! რახან ასეთი კარჭი რამეები იყო, ფეფელომ მითხრა თუ:

— მოდი გეოჯან, ამ ქათმებს შანა შავაბათ. თელე-

რა საჭიროა კურორტზე ფასვლა

ზაფხულობით ტფილისშიც სულ ადვილად შეიძლება ტალახის ვანების მიღება.

მზის ვანების მიღება კი ყველას შეუძლია თავის ოთახში.

ოის კურატათ დავაყენოთ, ჰამაც მოვნათლოთ და სახელები დავარქოთო...

— ვებნები ფეფელ, დარდა მიხოსი ე? ეხლა ადამიანებსაც აღარა ნათლამენ და ქათამს რომელი ტერტერა და ტერაცუა მოგინათლამს მეთქი?

იმან თუ: —არა გეოჯან, მე ისე ობრაზნათ ვამოფო, რაღა ტერაცუა რა საჭიროა, ჩვენ თითონ დავარქვათ სახელებიო. ჰამაცა რასც გიკვირსო. დაღბაშიანთ კეკელამ თავისი ბულდუკის გოშპარა ზაქსში მონათლაო და ქათამი უფრო ნუგბარი და მისმილი რამე არ არისო?

მოვნათლეთ: შავ ქათამს ასტღიკა დავარქვით, ვარია იყო, რაღა, ჟენსკი როდზე სათქმელი,— თეთრს კი პეტუა დავარქვით, მამალი იყო. ძას აქეთ, როგორც ქალ-ვაჟი ისე გაგვიზრდია, პირიდან ლუკმა გამოგვიღია და იმათთვის გვიშმევია, ჰამაც ალერს, ნეჟნობა რამე, არაფერი დაგვიკლია—სპალნაში ვაძინებდით მაშ, სულ ჩვენთან იყვენ. ჩემა მზემ ჩვენ ხომ გვიყყვარდა, ჰამა იმ ქათმებსაც ათი თაბახით მეტად უყვარდათ ერთმანეთი.

დარჩაზე თან წამოვიყვანდეთ და სადაც დავგულაობდით სულ თან დაგვდევდენ. ყველას მოსწონდა და იძახდენ თუ ეს ჩისტაკროვნი გალანცკის ხოხობის შვილები არიანო მააშ!

ერთ დღეს ჰაკარაკათ ფეფელა ავათ არ გახდა? ნეჩაინათ, ეს საღსალამათი დედაკაცი კრაოტში ჩაწვა. გადის ორი დღე, სამი, ერთი კვირა—ბან ჩუნეს?—ის მორჩენის მაგივრათ უფრო ფინთათ ხდება.

ბოლოს როცა ასლაჟენენია მოუვიდა მკითხავთან წაველს, იმან ამხედ-დამხედა, ერთი ციებიან კატასავით დაამთქნარა და მებნება:

— შენი ცოლი თელეთისგნით არის მათრახ-დაკრულიო, სახლში რომ ორი ქათამი არა გყავთო? ერთი უნდა დაჰკლათო და იმისი ჰუმ-ჰუმი ჯიგარი უნდა აჭამოთო, არ უნდა მოხარშოთო აი, თორემ თელეთს ეწყინებაო.

ჩემა მზემ—ძალიან გამენანა ჯიგარი დამეწო, პაჩტი ტირილიც დავიწყე, ჰამა ეს ბემურაზი ფეფელოც მეცოდებოდა და?!

მოველ სახლში, დავჯექი და ვფიქრობ: რომელი ქათამი დავკლა? შავი დავკლა, თეთრი იდარდებს და მოკვდება, თეთრი დავკლა—შავი უფრო მეტათ იდარდებს დედალია—ქალის გული აქვს მეთქი.

ბევრი ვიფიქრე, ბოლოს ზაკლუჩენია მაინც ვერ გადავწყვიტე და ჩემ ნათლიმამა გოგჩელ მიხაკას დაუძახე:

— მიხაკჯან მირჩიე რომელი დავკლა მეთქი? იმანაც ბევრი იფიქრა ჰამა ვერაფერი გადასწყვიტა და მებნება: ამაღამ მოვიფიქრეფ და ხვალ დილით აკანჩატელენ პასუხს გეტყვიო.

მეორე დღეს შოვიდა და მებნება:

— გეოჯან ისეთ გამოცნობილ რამეს გებნები, რომ ჩერესჩურ მოგეწონებაო.

— ჰაა, რომელი დავკლა?

— შავი.

— მერე თეთრი ხომ იდარდებს და ჩიხოტკაში ჩავარდება მეთქი?

— თოღ, მოკვდეს, მაგ ბემურაზზე ფიქრით ფთელი ღამე უძილოთ გავათენე და მე ჩავვარდი ჩიხოტკაშიო... ბევრი ვიდარდეთ ჰამა მაინც დავკალით. დიდის ჩალიშობიღ, რამით ფეფელომ შაჭამა იმის ჰუმი ჯიგარი...

ვაჰ, უარესი არ მოუვიდა? დაუწყო მუცლის გვრემა ფარსადან ჯან დაუწყო, რომ ჰაა. ეს დედაკაცი ღორივით ღრიალებდა. ბოლოს, როცა ჩვენს გვერდზე დაჩნიკები შაწუხდენ,დოხტურს თითონ დაუძახეს.თურმე საქონლის დოხტური იყო, რაღა ვეტრენი ვრაჩი. იმან იძახის თუო კუჭის ზასარენია მოსვლიაო და თუ ტრუბკა არ ჩაუყავითო და არ ამოურეცხეთო, მაგის მორჩენა არ შაიძლებაო. ამაიღო ერთი მეტრო სიგრძის რეზინის ტრუბკა და ებნება:

— მადამჯან, ჰაა პირი გააღე ეს რეზინუ უნდა ჩაგიყოვო.

საქმეში ხარ ფეფელა ატკაზს არტყამს, მაგ სიგრძე რეზინის ჩაყოფა როგორ შაიძლებაო? გაჯიუტდა რაღა, ახლოსა არ მიუშო.

— ვებნები ფეფელ, ახარ რა უყოთ, დოხტური იმას გიშვრება რაც რომ საჭიროა, ეგ რეზინი მართალია გრძელია, ჰამა, წვრილია რა უშავს, გაუძელი მეთქი. არა ქნა. ბოლოს ის დოხტურიც გაადგო და მეც გამიკაპასდა. წევს და ტირის, ღრიალებს! ჰაი, ვეხვეწები, ჰაი ვემდური, ჰაი ფლანი, ჰაი ფსტანი, მაგრამ არა ქნა.—მთელი ბოროჯომის ძმა კაცები მიუგზავნე, ჰამა არა ქნა.

— დაჟე რომ მოვკვდე, მაგ სიგრძე რეზინს არ ჩავაყოფინეფო. ეხლაც წევს და დასაკლავ ღორივით ღრიალებს.

ერთი პაჟალუსტა. რას გეხვეწები, ფარსადანჯან, თუ პურმარილი გწამს, წამამყე, ურჩიე ის დოხტურის ტრუბკა ჩაიყოს და ამაიწმინდოს, თორემ ის შავი ქათამი ისეთი ჰაკარაკი რამეა, რომ უეჭველათ მოჰკლამს. შენ დაგიჯერებს, ჰამ ხათრი აქვს, ჰამაც შიში—იტყვიან თოღ, ისევ ტრუბკა ჩამიშონ, კანც ტარტაროზში ბრიბრო ვეჰამოვო.

ფარსადან.

ახია ჩემს თავზე

(გურული სცენა)

ჩემი ციცა წამეიზარდა თუ არა, ასე რო წაძახიანაულია კი შეეძლო ჩემი ქალიზა, შემიჩნდა აი ჩემი ცოდვით საფსე: „კლასში შევიყვანოთ და შევიყვანოთო, შევიყვანოთ და შევიყვანოთო“, იმდენი მიღიტინა, იმდენი მიჩიჩინა ქარ შე მაყვანია კლასში?

უჯინდი—ქალო, დამიჯერე, რა ქალის საქმეა სწავლა, ნაკლასო ქალი საოჯახოდ რავა ვარგა, იმას თვალი შინ კარა ტყეში ექნება, პრანჭვა-გრეხვას დეიწყებს, ბიჭს სიყვარულის ქაღალდს მისწერს, და მერე რო რამე საჯაყი მოსდევს. მე ფეხდახოცილი ვიყვეთქვა, მარა არ შეგჭამოთ ხოლერამ მე ჩემი ვერ გევიყვანე, იმან კი მისი ქნა და მეც ძირს ნებაზე მაქნია.

მერე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, სისხლიანი კაცი ვიყავი და სამი ჭოლოკივით ბიჭი ქე შევმატე ჩვენს საგვარეულოს. ვფიქრობდი, ერთს ზეინკლათ გამოვზრდი, მეორეს დურგლად და მესამემ კი მიწა იმუშაოს, სანამ მაჯა მექნება მივეხმარები, ჭადს მოვაწევიებ და რო არ შემეძლება მარჩინოს თქვა.

ასე აშნაირად საქმე მოკვარაჭინდებოდა, ხელობის კაცი ახლანდელ დროში წელში გამართულია, და მერწმუნეთ, ნასწავლზე უკეთესად ირჩენს თავს მეთქინ, ნასწავლი კი, ახლა ჭილყვავივით ყრია, და „მისწავლიაო“ და ამით მუშაობაზე გულაცრუებული ქალაქებში მიედინება, და ბევრი დეორნიკობასაც ნატრულობს.

მაგრამ ვინ გაგაყვანია შენი? ქალი ეშმაკის დაია მეგეხსენებათ, იმდენი მედავიდარაბა ჩემი ქალბატონმა, ერთიც შემაყვანია კლასში, მეორეც და მესამეც. გეიფსო უჩენიკებით ჩემი ოჯახი. ახლა რა წყალს მივცე თავი არ ვიცი: ერთი „ზაპრაუჩენიას“ მთხოვს, მეორე „ტეტრადს“, მესამე „რუჩკას“ და მეოთხე რა ვიცი, რა უბედურობას. შენახვის მაგიორ ცოცხლად შეეშას მიპირობენ აი, ჩემი ცოდვით საფსეები.

ახლა არ მკითხავთ რავა გაპატიოსდენ ჩემი შვილები? ჩემი ისე არაფელი ესმიან, რავაც მე ეხლა ცხონებული ბაბუა ჩემ ყაისარის.—მემეხმარეთ თქვა რო ვეტყვი,—ურო-კი მაქ საკითხავიო, მერე კიდო ისე გატუტუცდენ, რომ ოვენის ლაპარაკის დროს, მე და ჩემ ქალს ყურებში თითი გვაქ გაკვეხებული. რო არ გევიგონოთ იმგენის ნაჩივარი,—ნამეტურ კი აი ჩემს ქალს უყვარს გაკვეხება. ვისი ბრალია აი, თუ იცით? ვისი და ნაკლასობის, ნასწავლობის.

ეხლა ჩემი ქალიშვილის ამბავს არ მკითხავთ? იგი მუტრუკივით წამოიყაყვა,მწყერები უხტუნავს თავშიც და გულ-ბოყვიც: მგონია, კიდეც დოუბევებია ვინცხას, რომ არ მკითხა ისთე! ეგი რო გოუგე, იმდენი ურტყი, იმდენი, რამდენიც რუსის ბარაბანს არ მოხვდენია.

მარა ახია ჩემ თავზეც რო ქალს დოუჯერე, ვიცოდი ასთე მოხდებოდა, მივადგები ხოლმე ამიზა და მივუგრამაფონეფ:—აა, ჩემო ქალბატონო, მიძახე: „შევიყვანოთ და შევიყვანოთ, შევიყვანოთ და შევიყვანოთ კლასშიო“, შემაყვანე არა? გამოგივიდა ხვიშტი, დადექი ახლა და უყარე კეკალი აი შენს ნაკლასებ შვილებს. მე კი მაგენიზა აღარც თავის გაცხელება შემიძლია და აღარც გულის. თუ აი შვახნის ყაძახი კიდომ გამაკუჭეს ქი მატუცვიებენ თავს სუფსაში და იგი იქნება თქვა.

კვანტი.

ფერილი სამოთხიდან

აწ ამ უსტარსა მოგიწერთ, არც თუ ამოსკვნით მტირალი,
დედაქალაქსა გაეექეც, გავიშერ ვითა ფირალი,
ორი თვით მომცენ „ოტპუსკი“, საქმეა გასაკვირალი,
გურიას შემოვეფარე, გარდავვლე ნასაკირალი.
მადლობა დიდი ყაჩაღებს,—აღარ გამძარცვეს გზაშია,
(ამ ბოლოს თითქოს დაცემა მოვიდა აქ მოდაშია),
დამტვრეულ ეტლში ვიჯექი, არცა თუ ება რაშია.
ესე ამბავი წარსული იყო ივლისის რვაშია.
ოცი დღე სოფლად დავყავი, ავდარი იყო მაგარი,
მსურდა მენახა ბახმარო, ეს ჩვენი ნაამაგარი,
ქორწილ-ტირილში მპატიჟეს (ორჯერ ვიყავი მაყარი),
დალიეს, გაანიავეს სასმელ-საკვები ნაყარი.
მზე გამოვიდა, შეუდექ ნაბეღლავისა გზასაო,
ვერც ვაქებ, ვერცა ვადიდებ, ვერცა თუ ვიტყვი ავსაო,
გზებია შეკეთებული თითქოს სჯობია სხვასო,
მაგრამ აქედანც არ წავა, ვინც უფრთხილდება თავსაო,
ორშაბათ დილა გათენდა, რა ავი დარი დგებაო,
ეს ჩვენი ძმაი ტერსიტი ბახმაროს მიადგებაო.
ბახმაროო კარგი რამეა, ამას რათ უნდა ქებაო,
მაგრამ ავდრობით ჯანმრთელიც აქ სიცივისგან კვდებაო.
შემოულობავთ კუბორტი, ურქვიათ ბევრი ბოძია,
გლავკუპრისგან ნაღობი ყველაი ოცჯერ-ოცია,
მაგრამ გლეხები ნაღობსა ჰაი რომ გაუოცია,
უბალახობით პირუტყვმა ვეღარ შეიბა ხორცია.

ვნახე უცხო რაძ კუბოოტი. გადაძდგარი წყლისა პირსა,
მას ბახმაროს უწოდებენ, საფოც თურმე მისთვის სტირსა,
აქ მოდიან ჩალვადრები, ასკანის თუ ვაკიჯვრისა
ბახმაროზე ამოყვანა რვა მანეთი მრგვალი ღირსა.
აგარაკზე ამოვედი ვიქირავე მყუდრო ბინა.
მაგრამ ღამით ძაღლის ყეფამ არაფვრით არ დამაძინა,
აქეთ ისმის „აბადელი“, იქით „ნინა, ჩემო ნინა“.
შუაღამემდე ყვირილია, ძაღლის ყეფა და ყიჟინა.
კომპერანტის სასადილომ გაგვიჩინა გვრემა... რათა?
ბახმაროზე ამოვედით, ვიხარჯებით, ნეტა რათა?
ოპიუმს და „ინოზემცევს“ სვამენ წყალის მაგივრადა,
აქაური სადილებით დაეკარგა ყველას მადა.
რძეა... რა რძე, რძე თუ წყალი. წყალი, რძე თუ რამე ღვარი,
ძეჯოგეთა თავხედობას ვინ დაუდოს ნეტა ზღვარი
ორი წილი წყალი მოაქვთ, ერთი წილი ფურის ცვარი,
თერმომეტრით უჭვრიტინებს მას ექიმი-სანიტარი.
კარაქი არ იშოვება, სულგუნს მიწა გაუთხარეს,
(ამის გამო „ბაჩნიკებმა“ ჰაი, ჰაი, ცრემლი ღვარეს),
პურს ხან ცომთა ყიდულობენ, ხან ძაღლებსაც გადუყარეს,
სხვა სურსათს და სანოვაგეს აბა ვინღა მოგაკარებს!
დაზღვეულს და დაუზღვეველს აქ არა აქვს განსხვავება,
ექიმს მუქთად ვინ განახვებს, თუ არ არის მისი ნება?
არც უფასო წამალია, არც სხვა რამე მანქანება...
ბახმაროზე არ მოქმედობს სტრახკასა და მისი ნება.
ლესნიჩმა ჩაინადირა საყორნიაი რქიანი,
მან მოკლა ფური, მოზვერი, ერთიც კამეჩი რქიანი,
მანვე შელობა ბახმარო, საქმეა ეს მაღლიანი,
მაგრამ ნაძვნარის დაცვაში დავრჩით ყველაი გვიანი.
თეატრი კარგად მუშაობს,—ამას არ უნდა ეჭვია,
შიგ შესვლა არ სურს არავის, თუ არ მოობი ღვლეჭია,
შემოსავალით იქნება იყიდო ქათმის ბეჭია,
მოლარეს ერთსა შიმშილით კბილები დაუკრეჭია.

დასრულდა ესე ამბავი. სეზონი მიდის ნელაო,
ბახმაროს გზაი არა აქვს, კუნთები დამიგრძელდაო,
უკანალიზაციობამ რომ საქმე სულ გააძნელაო,
„უბორნიასთან ოჩერედს“ ხომ ვერ აიტანს ყველაო

ტერსიტი.

პილსუდსკის მთავრობა რუს თეთრგვარდიელებს ასახლებს პოლონეთიდან.
(დეპეშებიდან)

პილსუდსკი: — აცხა თქვე ოხრებო, ჩვენის ნამცეცებით საკუთარი თაგვებიც ვერ გაგვიძღვია და თქვენი შენახვა სად შეგვიძლია.

კოვერკოტის პალტო

ქვეყანას უკვირდა მე რომ ჩემს ფედოსიას კოვერკოტის პალტო შეუკერე.

თუ რა დამიჯდა მისი შეკერვა და შეძენა ეს ჩემს მეტმა არავინ იცის.

სანამ იმ პალტოს ჩავაცმევდი, გარუჯულ თაგვს გავდა ოჯახქორი და პალტომ ისე დაამშვენა, რომ შორიდან რომ დავინახავდი, ვიღაც დიდი გამგის ცოლი მეგონებოდა. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“-ო ტყუილა კი არ ყოფილა ნათქვამი.

ერთ დღეს (რატომ ის დღე არ დაიქცა) ამიტყდა:—„გინდა თუ არა თავისახს უნდა გამოშვაო“.

ვეხვეწე:

— ქალო დამაგრდი სახლში, რა დროს მგზავრობაა, რა დროს ფულების ხარჯვაა მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე!

რომ გააბზიკინა ფეხი არ დაიშალა.

თუ არ გამიშობ ეხლა თავისას ზაქსში წამოდიო—სულო ცოდვილო ეს ქე მესიამოვნა, მაგრამ როცა მომაგონდა, რომ ახალ შეკერილი, ას მანეთიანი კავერკოტის პალტო უნდა გაყოლოდა მას, უარი უთხარი ზაქსში წაყოლაზე და ისევ მისი გაშვება ვამჯობინე.

ბათომის სადგურში ეტლით მივიყვანე, ბილეთი აუღე, მატარებელში ჩავსვი, გამოვეთხოვე და წამოვედი

იმ ღამეს მშვიდათ მეძინა, ასეთ სიმშვიდით ვფიქრობდი კიდევ რამოდენიმე დღე-ღამის გატარებას, მაგრამ გამთენის ხანს ვიღაცამ კარებზე მომირაკუნა.

— ვინა ხარ—შეუძახე მე.

— მე ვარ კაცო, ვერ მიცანი?—მოისმა ჩემი ცოლის ხმა.

— დედაკაცო, მე შენ ჯერ მისული არ მეგონე და ასე უცებ რამ დაგაბრუნა?

— რამ დამაბრუნა და შენმა თვალების დავსებამ—მომაწყევლა გარედან.

— რა იყო ქალო, რა მოხდა?

— ის მოხდა რომ მატარებელში დავტოვე.

— რა დატოვე ქალო მატარებელში?

— კაძახო გაალე კარები და ვეტყვი მაშვინ!..

წამოვდექი, კარები გავაღე და ჩემი კავერკოტ ძალტოიანი ცოლი უპალტოოთ დავინახე.

— რა უყავი ქალო პალტო?—შევეკითხე მე.

— ხომ გითხარი დავტიე მეთქი..მითხრა მან, ისე შემომიბღვირა თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყოს.

— დამღუპე ქალო, დამიქციე ოჯახი—კინაღამ ავტირდი ბრაზისაგან.

— არაფერიც არ დამიღუპავხარ. ის პალტო, ნუ გეშინიან არ დაიკარგება. იქ რომ ქალი მეჯდა გვერდით იმას აქვს წაღებული.

— მერმე იცნობ იმ ქალს?

— მე თუ არ ვიცნობ სხვები იცნობენ ალბად.

— მერმე შენ ვინ გეტყვის დედაკაცო? მან ერთი უხერხულობა იგრძნო, მაგრამ მერმე გამოაკეთა.—ის ქალი ჯუმათში გადასულა, ჩემი პალტოცთან წაუღია, კონდუქტორ ჩაველეშვილსაც დაუნახავს, მაგრამ არაფერი უთქვამს. რახან დაკარგული არაა აუცილებლივ ვნახავ, ინუგეშა თავი მან და მეც მანუგეშა.

— ძალიანი კარგი, მაგრამ რახან ხელიდგან მოიცილე მისი ნახვა ძნელია ჩვენო კარგო,— უთნარი მე და ტანზე ჩაცმა დავიწყე.

ისეთი კვირა თქვენს მტერს ქონოდეს, მან ამ კვირაში მე დღე წამკიდა. „ქრისტეს ტირილიაო“ რომ იტყვიან ისაა ჩემსას. პალტო ჯუმათელ ქალს მართლა წაუღია, მაგრამ ვინაიდგან ტანზე კარგად მორგებია უკან დაბრუნებაზე უარი განუცხადებია. ხოლო მეზობლებისთვის ასე უთქვამს რომ ბათომში მან ის 10 მანეთად იყიდა“. ამ წერილით მეტი არაფერი მსურს გარდა იმისა, რომ ხალხი გავაფრთხილო ნუ დაუჯერებენ იმ ქალს, თითქოს მას პალტო 10 მანეთად აქვთ ნაყიდი. ის მე ასი მანეთი დამიჯდა, ჩემი ცოდვა მართლა ააყენებს მას საიქიოს და ჩემ ცოლს საქოს.

ჰ. ოძელი.

მოისაზრა



მე თუ ბორჯომში ვერ წაველ, დე ბორჯომი იყოს ჩემში!

აგიტატორი ქალაქიდან

სწორედ ავია-ქიმის კვირეული იყო იმ დროს, როცა დარაჯი იაკინთე შვებულებაში მიდიოდა.

წასვლის წინა დღით იაკინთეს ადგილკომში გამოუძახეს.

— შეგნებულმა მუშამ დასვნების დღეებშიც პროლეტარიატის სამსახურზე უნდა იზრუნოს,—უთხრა მას ადგილკომის მდივანმა,—აი შენ ეხლა სოფელში მიდიხარ ერთი თვით. შენ, როგორც შეგნებულმა პროლეტარმა, სოფელში მყოფ შენს პროლეტარ მეზობელ გლეხებს უნდა აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ავიაქიმს და აგრეთვე უნდა მოუწოდო მათ მზათ იყვენ ავიაქიმის დასახმარებლად.

მეორე დილით იაკინთე უკვე მატარებელში იჯდა, და სოფლისკენ მიქროდა.

— ასე ძნელია ქალაქის პროლეტარათ ყოფნა,— მწარე ფიქრებში იყო გართული იაკინთე,—მთელ დუნიას შენ უნდა ემსახურო... ესაო და—პირი სოფლისაკენაო, კოოპერაცია გაამაგრეო, ჰაეროპლანები ააშენო, დემონსტრაციაზე იარე, სოფლის ხალხი ქალაქს დაუახლოვე... უუხ, ძნელია!ძნელია, მაგრამ ჩვენ სასიკეთო საქმეს ვაკეთებთ!...

სოფელში ჩასვლის მეორე დღესვე იაკინთემ მიაკითხა აღმასკომს და თავმჯდომარეს განუცხადა:

— აბა, ამხანაგო, ხალხი შემიგროვე... დიდ საქმეზე ვარ ჩამოსული... პროპაგანდა—აგიტაცია უნდა გავწიო... დავალება მაქვს ადგილკომისაგან.

აღმასკომის თავმჯდომარემ სიტყვის შეუბრუნებლად შეუსრულა მოთხვონილება და შემდეგი დღისათვის ხალხს თავი მოუყარა ეკლესიის გალავანში.

— ავიაქიმი...—დაიწყო იაკინთემ..—ასე, თუ ისე, ალბად გაგიგონიათ... ერთი სიტყვით, ამხანაგებო, გაზებს უშვებს... ისეთ გაზებს, რომ კაცსაც აღრჩობს და ჰაერსაც სწამლავს...

გლეხებმა შიშით გადახედეს ერთმანეთს.

— ერთი სიტყვით, ამხანაგებო, უშვებს და უშვებს გაზებს... თუ ცხვირ-პირზე რამე არ ეიფარე, წიწილივით გაგგუდავს... მერე კიუყარე კაკალი... ინგლისი, როგორც იცით, ზღვაში ცხოვრობს... აქეთ გერმანიაა და იქით იტალია... ერთი სიტყვით, რამდენი სახელმწიფოა, ვინ მოსთვლის. ყველა აღრჩოლებს... რას იზამ, ვერ დოუშლი... ამიტომ ავიაქიმი მეითხოვს თქვენს ყურადღებას... აღრჩოლებაზე თუ არის საქმე, ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ... უნდა გაუშვათ გაზები და გადავხრუკოთ ყველაფერი... ის გაზები ისეთია, რომ თქვენც კი გამოგადგებათ სოფლად... კალია გაუჩდება პურს, თუ სხვა რამე მწერი — მოსპობს ერთიანად.

— პური?—იკითხეს გლეხებმა.

— ცხადია, პურს გადახრუკავს, მაგრამ პურს თქვენი ჭირი წაუღია — კალიაზე ხომ ამეიყრით გულს ჯავრს! ერთი სიტყვით, ამხანაგებო, როგორც ვხედავთ, გაზებს დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვის და უნდა შეუწყოთ ხელი ავია-ქიმის საზოგადოებას...

— ჩვენ რომ მოგვწამლოს?—იკითხა ვიღაცამ.

— მასკა აფარებული იარე და არაფერი დაგიშავდება! უპასუხა იაკინთემ. — ხარსაც, ძროხასაც, ცხენს, ღორს,—ყველას მასკა უნდა უყიდო და აუფარო!

გლეხებმა დაცინვით შეხედეს იაკინთეს. ერთმა კი გაბედა და უთხრა:

— არ მინდა, ძმაო, შენი მაღრჩობელა გაზები... რა შავ ჭირად მინდა, თუ ჯეჯილი ამიხრუკა და მთელმა სოფელმა მასკა აფარებულმა იარა! დაგვილოცნია შენთვის!

იაკინთე იმ საღამოს ბევრს ფიქრობდა სოფლის სიბნელეზე და უვიცობაზე.

— დიდებული მოხსენება გავაკეთე, აუხსენი ყველაფერი გრკვევით და მაინც ვერ გაიგეს... ძნელია, ნამეტანი ძნელია ქალაქში ნაცხოვრებ კაცისთვის სოფლად მოღვაწეობა!

ლიაბო.

იძულებითი ფიზკულტურა

ჩვეულებრივი სურათი ტფილისის ქუჩებზე ზაფხუ-ლობით.

საშემოსავლო წყაროდ

(ისტორიული გამოკვლევა)

„უნდა წავყვე ექიმსაო,
თუ რომ ბედი მეღირსაო".

ასე მღეროდენ გასათხოვარი ქალიშვილები ძველ ხალიჩა აფარებულ კედლიდან, რომ გიტარას ჩამოიღებდენ და კეკლუცურ ყოფა-ქცევაში ბეჯითად ვარჯიშობენ.

ასევე ღიღინებდენ ვადა გასული ბანოვანები და ოცნებობდენ თუ როგორი ეშხით დახვდებოდენ ამბულატორიიდან დაბრუნებულ, მაჯაზე ოქროს საათიან და მუდამ თეთრ წინსაფრიან კაცს, რომელსაც პაციენტების მიღების ვადათ დანიშნული აქვს „საღ. 5—8 საათამდე".

„გათხოვება მინდა მარა,
თუ ექიმმა შემიყვარა".

ასეთ სიმღერას ასწავლიდენ თავიანთ პატარა ბავშვებს. სამსახურში ქმარ გასტუმრებული დედები.

რატომ მღეროდენ ასე ქალები?

მთელი რიგი ასეთი ღრმა ფილოსოფიური საკითხებისა იმთავიდანვე მოსვენებას არ აძლევდა ჩემს ნეიტრალურ თავს. ვეწაფებოდი მეცნიერებას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფიზიკას და თქვენ წარმოიდგინეთ... ვიპოვე პასუხი.

თუ ახალგაზრდა ისტორიკოსს ზაქარია ჭიჭინაძეს ან აკადემიკოს იუსტინ აბულ-ზადეს დაუჯერებთ უწინ მკურნალობა ხდებოდა კარაბადინებით და ამაში ფარას იღებდენ. გეოგრაფიაშიც სწერია, რომ ექიმები ყველგან არიანო, ავსტრალიაშიც, ზონდის კუნძულებზეც, ტფილისშიც და ღანირის თემშიაც.

პროფკავშირებში ამას წინად ერთმა ლექცია წაიკითხა და სთქვა, რომ საშემოსავლო წყაროს ამოსარჩევად არსებობს რამოდენიმე პროფესიაო: ექიმობა კბილის, მუცლის, შინაგანი, გარეგანი, ფერშლობა, სანიტრობა, უფროსი ექიმობა და კერძო პრაქტიკანტობა.

თუ თეთრ ხალათიანმა კბილი დაგაძროს ფული უნდა მისცე არა ნაკლებ სამი მანეთისა; თუ ექიმათ წოდებულმა მოინდომა თქვენი შიგნეულობის უშუალო ნახვა ხოლო საამისოდ ამოგჭრას მუცელი, ასეთ კაცს მიეცეს ბლომად გასამრჯელო, რომ როგორც სურს ისე გადაალაგ-გადმოალაგოს შიგნი შიგნეულობა.

შესაძლებელია ასეთი ღრმა აზრები გაუგებარი გახდეს მკითხველისათვის. მაგალითად შეეხვდათ გრიპი (სწორედ თქვენ და არა მე). მაგრამ რა არის გრიპი? ეს საკითხი ჩემს მიერ შესწავლილია იყალთოს აკადემიაში და ამის შესახებ გარკვეული პასუხი მარტო მე და პ. ინგორაყვას მეტმა არავინ იცის. გრიპი გამოგონილია ექიმებისა და რეპირატორებისაგან. ეს იგივე სურდოა და რომ უფრო შეეშინდეს უსწავლელ ხალხს—ექიმებთან უნდა წავიდენ და ხეირი მისცენ. რეპარტიორმა თუ უფრო გაბერა გრიპის ამბავი, დიდი ჰონორარსაც მიიღებს.

ეს შეიძლება ზოგიერთმა პროვოკაციათ ჩამომართვას, მაგრამ თქვენ იცით თუ არა, რომ მე 905 წელს ბარე ორჯერ გავისროლე თოფი და ისე დავაფრთხე ყაზახთა რაზმი, რომ მთელი სოფელი გადაბუგეს. არის თუ არა ეს რევოლიუციის წინაშე დამსახურება? მეკუთვნის თუ არა მეც დამსახურებული რევოლიუციონერის პენსია?

— მე არ ვიყავი, რომ მენშევიკების ლაროს ერთ ქორწილში ყველს ღმერთები გადმოუტრიალე, ბებერი ღვდელი დავბეგვე და დიაკონი საზიარებლად გავხადე?

— მე არ ვიყავი, რომ ერთხელ... —ყველგან კი ვიყავი მე და ვინც ეს იცის, იგი მუხლს მოიდრეკს ჩემი წარსულის წინაშე.

მაშასადამე ჩემს ნათქვამს დაჯერებაც უნდა.

ერთის სიტყვით, მე მოგახსენებთ, რომ ექიმობა მარტო მკურნალობა კი არ არის, არამედ ის ფულის საშოვარი საქმეა, საშემოსავლო წყაროა და თუ თქვენ კბილები გძვრებათ, ან მუცელს გიჭრიან და შიგნეულს გარეთ იღებენ, ყოველთვის თქვენი ჯანმრთელობისთვის კი არაა საჭირო, არამედ თეთრი წინსაფრისათვის, რადგან თუ კბილები არ დაგაძრეს, ან არ გაგფატრეს, ისე თქვენ ფულის მიცემას და თან მადლობის გადახდას არ იფიქრებთ. ეს იციან გიტარაზე მოღიღინე ბარიშნებმა, იციან თვით უპრაქტიკო ექიმებმა, რომლებიც ხანდისხან ღიღინებენ.

ცოცხალ მაგალითი: ჩემს გვერდზე ერთი ექიმი ცხოვრობს, სახლში დადგმული აქვს ერთი ძველი რეჟიმის პიანინო (მე ძველი რეჟიმის მტერი ვარ) და იგივე დარბაზი გამოყენებულია ავადმყოფების მისაღებ ოთახად. დღე ავადმყოფების ყვირილმა გამოგვიქედა ყურები და საღამოობით პიანინოზე ბავშვების ვარჯიშმა და „ჩიჟიკ-პიჟიკმა".

იშვიათად უყვარს თვით ექიმს დასვენება. ფულის შოვნაზე უნდა ფიქრობდეს ცოლ-შვილიანი კაციო,—იტყვის ხოლმე ზოგიერთჯერ.

როცა ექიმთან არავინაა თქვენი სმენა ადვილად დაიჭერს გულაღმა წამოწოლილ ექიმის „ბასო-პროფუნ-ღოს":

„მიყვარს ნასადილევს ხრიპი
რათ არ მოდის კიდევ გრიპი,
გამეზრდება მაშინ ღიპი
ჩემი ღიპი ჩემი ღიპი
რატომ ღიღინებს ასე ექიმი

დიტოია.

ომი აგარაკზე

აქა ამბავი აგარაკის შემოლოგვისა

ძას ჟამსა შინა, წელსა მას 1926-სა, გურიასა შინა იყო აგარაკი იგი ბახმარო, საცა ვიდოდენ დასნეულებულნი სენითა მით ჭლექითა, ციებ - ცხელებითა, ნაკლებობითა სისხლისათა და ხორცისათა და სხვა უკურნებელთა სენთა.

დაღაცათუ აგარაკი იგი რგებდა ფრიად სნეულებათა ყოველთა და იყო აგარაკსა შინა აგრეთვე არშიყობათ დიდი შიგან ნაძენარსა მას. ფარისეველნი და ღვთის მგმობელნი აშიკობასა მას გამოლეჭასაც უხმობდიან.

ხანი გამოხდა და ადმინისტრაციამ ბახმაროსაგან მოისაზრა შემოელობა აგარაკი, რამე თუ გაშლილი აგარაკი დაშთენილ იყო ღორებისა, ხარებისა, თხა-ციკნებისა და პირუტყვთა სხვათა ამარა.

ყოლამცა შემოიღობა აგარაკი იგი წესითა მით დაკვრითითა, რასაც ახლა უდარნი წესს უხმობენ—სამი წლის განმავლობაში. შეღობილ იქნა მთელი სიგრძით რვა აღაჯი (კილომეტრი) და დაიხარჯა მუშაობასა ზედა ათასი თორმეტი ჩერვონეცი.

აქა ამბავი მეძროხეთა შეჭირვებისა

შეღობვითა მით აგარაკი მიეცა მოსვენებასა, გარნა მეძროხენი, მეღორენი და ჩალვადრები მიეცენ განსაცდელს და შეჭირვებას, ვითარმედ შემოღობილში იყო. ბალახი ნახევარი მეტრი და საძოვრები კი — მოტვლეპილი, ვითარცა თავი უხსენებლისა მის ბოლდუნისა.

აქა ამბავი დიდი ბჭოგისა

მეძროხეთა, მეჯოგეთა და ჩალვადართა მოიწვიეს კონფერენცია იდუმალი და გამართეს ბჭობა, შემოფარგლულ აგარაკის შესახებ. მათ განიზრახეს მიეზღოთ სამაგიერო ბახმაროს ადმინისტრაციისათვის და შეადგინეს საომარ მოქმედების გეგმა. განა გეგმა ესე არ იყო ხუთწლიანი და პერსპექტიული. არამედ მოკლე და გარკვეული. მათ განიზრახეს გაემართათ ომი სასტიკი და ულმობელი აგარაკის სანიტ - მდგომარეობის წინააღმდეგ.

აქა თათბირი აგარაკსა შინა

ხოლო არცა თუ ისე მაგრათ ეძინა ადმინისტრაციასა ბახმაროსასა: იქაც გაიგეს მეძროხეთა და ჩალვადართა ბოროტი ზრახვები და შეადგინეს შტაბი საომარ მოქმედების საწარმოებლად. შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა გმირთა გმირი და უებარი ჭაბუკი დოროთეოსი, ხოლო სამხედრო კონსულტანტად მაქიმედინი კობალაური, რომელიცა შორს მჭვრეტელობით არ ჩამოუვარდებოდა მითიურ ოდისეის. გადაწყვეტილ იქნა გაემართათ სისხლისმღვრელი ომი წარმართთა წინააღმდეგ, რის შესახებაც გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია. დაჭრილ-დახოცილთა მიმშველებლათ და მოწყალების დათ დაინიშნა ჰაექიმი ანთაძე, ხოლო საერთო ხელმძღვანელად თეოფილეოსი ჩვენი. ღაშჭარისთვის სურსათ - სანოვაგის მიწოდება დაეკისრა კოოპერატივის გამგებელსა ივტიხიოსს. უარყოფილ იქნა ყოველგვარი ახალი მიღწევები ომის ტეხნიკის დარგში (ჰაეროპლანები, გაზები, ტანკები და სხ.) და გადაწყდა ომი ეწარმოებინათ ვინტოვკითა, მაუზერითა და ნაგანითა.

აქა ამბავი საომარ მოქმედებათა

რა დილა გათენდა და მზის მაგივრათ ბახმაროს ნისლი მოეფინა, ორივე ბანაკში დაიწყეს საომრად მზადება. მეძროხეთ გადასწყვიტეს თითონ არ გამოსულიყვნენ საომარ ასპარეზზე, არამედ გამოეშვათ შინაური საქონელი: ცხენი, ძროხა, კამეჩი, ღორი და სხ.

მცირეოდენი ხნის შემდეგ ადმინისტრაციის შტაბმა შეამჩნია, რომ აგარაკის ფარგლებში ჩამოეშვათ მერანი ერთელი, რომელიც არც ხვიხვინებდა, არც საომრად ღორებს სცემდა, არამედ გაშმაგებით ნთქავდა ბალახს. ...ბამ იმსჯელა ხსენებულ რაშის შესახებ და გადასწყვეტა რომ ეს იყო მტრის ურდოდან გამოშვებული ჩალვადრის რაში, რომელსაც სროლა უნდა აეტეხა ადმინისტრაციისთვის. ამიტომ დაჭკრეს დაფი და ნაღარა და დაუმიზნეს ვერაგსაა მერანს. სროლამ სამ ჟამს გასტანა და ბოლოს რაში იგი წაიქცა კუდმოწყვეტილი. მყის მიირბინა სანიტარმა ჰაქიმმა, დაადო გულზე საშინჯი ტრუბკა და განაცხადა, რომ რაში მოკლულია. შტაბი გაეგზავნა ბრძოლის ველზე და ნახა, რომ ეს იყო არა მტრის, არამედ ერთ-ერთი მილიციელის ჭაკი ცხენი.

აქა ამბავი მეძროხეთა ვერაგობისა

რა მეძროხეთა და ჩალვადართა გაიგეს, რომ შტაბი საომრად მზად არის, გადასწყვიტეს სხვა ზიანი მიეყენებინათ აგარაკისთვის და ამისათვის ჩაიდინეს სივერაგე დიდი: აგარაკის ფარგლებში გაშენებულ იყო სანერგე— პიტომნიკი ფიჭვისა და ნაძვისა. მეძროხენი და ჩალვადრები მიადგენ და გადათხარეს მთელი სანერგე, — ამოთხარეს ახალგაზრდა ფიჭვის ნერგები და გადაყარეს, რითაც გაფუჭდა ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული ახალი წიწვიანი ტყის გაშენების საქმე.

ადმინისტრაციას ბეტად ეწყინა ეს აუბავი, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

აქა ამბავი შემდეგი ომეგისა

ამას შემდეგ მეძროხენი და ჩალვადრები უფრო გათამამდენ და მოუხშირეს ცხენ - ძროხების ჩამოშვებას აგარაკის ფარგლებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ აგარაკი შინაურ ოთხფეხით აივსო. ახლა კი შტაბმა დაკარგა მოთმინება და გააჩაღა ფიცხელი ომი ცხენ - ძროხებს ქამანდებით იჭერდენ, ჩიხში ამწყვდევდენ და მთელი კვირაობით უჭმელ - უსმელს, რისგანაც მრავალი გლეხის ძროხა - კამეჩი დაიხოცა. ღორების დაჭერას არ კადრულობდენ და თოფებით კლავდენ, რის გამოც ბევრმა დაკარგა გოჭებიანი ღორი.

აქა ჭიდილი უმაგალითო

დღესა ერთსა აგარაკში ხმა გავარდა, რომ მტრის ბანაკიდან შემოსულია უზარმაზარი დედო-ღორი თავის ნაზარდებით და ამირებს აგარაკის აღებას.

მოაგარაკენი შეშფოთდენ და სახლებში მიიმალენ. ვაჭრებმა დუქნები დაკეტეს, მღეჭველებმა ღეჭვას თავი დაანებეს და ნაძვებზე ავიდენ თავის გადასარჩენად.

ადმინისტრაციის შტაბმა სასწრაფოდ მოიწვია პლენუმი. და გამართა მსჯელობა ღორის შესახებ. გადაწყდა გაეგზავნათ რაზმი, რომელსაც უხელმძღვანელებდა თვით დოროთეოსი. რაზმი წავიდა და ჩაუსაფრდა. ნაშუადღევს ...ორი ნაძვებიდან გამოკარ... ...ცა აგარაკის ... ერთ - ერთ ტლაპოში ჩაწვა... გასაგრილ... ...ო და ჭაობი უხვად არის აგარაკის ფარგლებში და ადმინისტრაციას არ უფიქრია მისი ამოშრობა. შემდეგ ღორი ამოვიდა და გაემართა შუაგულ აგარაკისაკენ — ფეხისადგილებისაკენ, რადგანაც ღორს, როგორც მოგეხსენებათ უყვარს სიბინძურეში გორაობა.

ღორი, თავისი ნაზარდებით ეშვებ გაშვერილი მიდიოდა წინ, სრულებით უშიშრად. რაზმი გაკაჟდა. არ შეშინებულა მხოლოდ ერთად - ერთი დოროთეოსი, რომელიც წინ წამოიჭრა და აღმართა მაუზერი თვისი. ღორი გაიქცა. დოროთეოსმა მაუზერი მიაყოლა... ერთი, ორი, სამი, მაგრამ უშედეგოთ: ღორს წკიპურტი არ წაკარებია. დოროთეოსი კიდევ მეტი გააფთრებით დაედევნა ღორს და ზურგზე დაჭკრა თოფის კონდახი. ამის საპასუხოთ ღორმა ეშვი გაუქნია მოპირდაპირეს. ეშვი მოხვდა დოროთეოსის აზიაკის ყელს და გახია შიგრინის აზიური ფეხსაცმელი. ეს კი ველარ მოითმინა მთელმა რაზმმა, ყველამ ერთად - შტაბთან შეთანხმებით — იერიში მიიტანა ღორზე და იგი დაეცა უთანასწორო ბრძოლაში.

...ძოლა გრძელდება...

აღლარ—აღლარსან.

ცნობები მკითხველებს

ელიბოს. წინდახედული კაცი ყოფილხართ, რადგან თქვენ წერილს ასე აბოლოვებთ:

> **იმედი მაქვს ამ ჩემ წერილს**
> **არ ჩასდემბთ უჯრაშია,**
> **არც დაკეტილ სკივრშია,**
> **ნურც ფრთხილად შეინახავ**
> **ბაღშე ძველს არქივშია:**
> **ჩასდევით იმ ადგილას,**
> **სადაც ჩემი ხოშია,—**
> **აილეთ და პირდაპირ**
> **ჩაუშვით გოდორშია...**

აბა „ხოშს“ როგორ გაგიტეხთ? ჩვენც „ჩაუშვით გოდორშია“.

კულაშელ აჯიბაბას. თქვენი ლექსი ასე იწყება:

> **რაღა ქვნა, ვერ მოვითმინე**
> **პირში არ მიცდის ენაო“...**

ცუდი საქმე დაგმართვიათ. თუ თქვენი ენა იმიტომ არ იცდის, რომ ტფილისისკენ მოეჩქარება, ჩვენს მისამართს ნუ ასწავლით, თორემ ისიც თქვენი ლექსივით უფსკერო გოდორში ამოჰყოფს თავს.

ფეიზულას. აი თქვენი ლექსის პირველი ნაწილი:

> **„ქუთაისში ყველაფერი**
> **როგორც სხვაგან ისეა,**
> **მხოლოდ ქუთაისს არ გააჩნია**
> **სანიტარნი კომისია“...**

თქვენ სცდებით. ქუთაისში ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც სხვაგან, რადგან სხვაგან ასეთ „მოკალულ“ ლექსებს არ სწერენ. ეგეც არ იყოს, რა ჩვენი გადასახადია, რომ ასეთ ანტისანიტარულ ლექსს გვიგზავნით, ჩვენ ხომ „სანიტარნი კომისია“ არ ვართ?

იდეალების მსხვერპლს. ჩვენც მსხვერპლი გავხდით თქვენი გრძელი ლექსის და ბოლომდე ვერ წავიკითხეთ. ვათავსებთ მხოლოდ პირველ ტაეპს:

> **„აი, თანაბრად განათლა**
> **სივრცის მეექვსედი ნაწილი,—**
> **ასი წლის მოხუცსაც სურს გახდეს**
> **ხუთმეტი წლის ყმაწვილი“...**

ეს რა გასაკვირია, ჩვენს დროში ასი წლის მოხუცის გაყმაწვილება უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე თქვენი ლექსის დაბეჭდვა ტარტაროზში. ეცადეთ შტეინახის საშუალებაც, მაგრამ არაფერი გამოვიდა და

> **თქვენი ლექსი, თქვენი „შვება“**
> **ჩვენს გოდორში ჩაეშვება.**

გუზგუზს (ბახმარო). ვათავსებთ თქვენს ლექსს მთლიანად:

„გულიდან ამოგნახეთქი“

> **ამ დასაქცევ ბახმაროში**
> **მეც ქე პოეტათ გავხდიო,—**
> **ჩემი მუზა თოხარიკობს—**
> **მიმაფრენს ღრუბლებისკენო**
> **ამდენი ბარიშნებია,**
> **როგორც კენჭები ზღვაშია,**
> **ზოგს ზედ რაღა თვალები აქვს,**
> **ზოგს ყიდევ ზოკლე კბაია**
> **ბა იმათი ყურება**
> **რა ხეირში ჩამაგდებხო,**
> **თუ ბერათ არ აღვიკვეცე —**
> **ჭკუიდან გადვირეკვიო.**

თქვენ „თოხარიკ“ მუზას ღრუბლებში აუფრენიხართ. ალბად იმიტომაა თქვენი ლექსი ასე ჰაეროვანი. ოღონდაც ძნელი საქმეა მაგ „ტიკა“ თვალების გაძლება, მაგრამ ბერობა რას გიშველით? „შეგინდოთ უფალმა რამეთუ არა იცით რასა იქმთ!“..

ანი-ხა-მიახ. ცუდი საქმე დამართნია ქუთაისის „გოსმედტორგის“ მმართველობას, რადგან თქვენის სიტყვით:

> **გოსმედტორგის მმართველები.**
> **მალარიამ დააფინა,—**
> **ხალათა შემოეპარა**
> **მოადუნა, მიაძინა!**
> **რით უწამლოთ რომ მარაგი**
> **წამლების არ შეიძინა,—**
> **კანქვეშ რომ შეუშხაპუნოთ**
> **ვერ ვიშოვეთ ქინაქინა.**
> **მოვიწვიეთ ექიმბაში,**
> **მარჩიელი აგრაფინა:**
> **—უკმურია, შეულოცავ,**
> **ალბათ მავნემ შეაშინა,—**
> **გულო ჩადი საგულესა,**
> **სულო ჩადი გულსაშინა,**
> **განვედ არა წმინდა სულო.**
> **ოსანა მაღალთა შინა.**
> **ჯანსახკომმა შეამოწმა:**
> **თავში ხელი წაიშინა—**
> **ასთე მორჩა თქვენი მტერი**
> **იმან რომ ის მოარჩინა“...**

ნუ გეშინიათ, არც ისე უიმედო ავადმყოფი გყოლიათ, აი, შეუშხაპუნეთ ეს ჩვენგან გამოგზავნილი წამალი და შემდეგ კი კვირაში ერთხელ წააკითხეთ „ტარტაროზი“-ს ახლად გამოსული ნომერი. ის მთლად გამოავჯანსაღებს.

„სმიჩკა“ (დაახლოება).

აი, როგორ ესმის ხრესილში დაახლოება ვოშკავშირელ ა. კუბლაშვილს.

სადღეგრძელოც შესაფერისი იცის:

— მამაო, თქვენი ლოცვა-კურთხევით და ღმერთის დახმარებით ჩვენ შევსძლებთ მოვახდინოთ მსოფლიო რევოლიუცია, რომლის შემდეგ მიწაზე დამყარდება ის სამოთხე, რომელიც იმ ქვეყნად არსებობს. მე მგონია, რომ თქვენ ეს არ გეწყინებათ და ამის საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ!

— როგორ გეკადრებათ, ამბ. ამბროსი. ჩვენც სამოთხისათვის ვიბრძვით ჯვარითა და სახარებით ხელში.

— ჰოდა, კარგია, მამაო, როცა სამოთხე ქვეყანათ ქმნება და იმ ქვეყნად გამგზავრება საჭირო [illegible] (გზის ფული არ დაიხარჯება. კორექტორი)

შეგიძლია იცრუო მხოლოდ ასეთ ანკეტაში


სახლის ვაჭრობა
მაუსაჭირავებელი ოთახი
სახლის ვაჭრობის ანკეტა
მენი მგარი და სახელი ივანე ყმანწიშვილი.
ცოლი გყავს, თუ არა? მყავს ვარი . . .
შვილი? . მყავს 10. ვაჟი . . . . .
პარტიული ხომ არ ხარ? ავაა ვეკადრებაა.
ცოლი რა პარტიისაა? . ახალგაზრდა . . .
შვილი კომსომოლი ხომ არ არის? . ავაა . .
მოსამსახურე ხომ არ ხარ? . ავაა . . . .
სად ვაყრობ? . . საშმარავლში . . .
რამდენ ადამიანს იღებ თვეში? . 14.000 ლ.
მომცემ 5 წლისას ციდაბინ? ავაა ავაა . .
რამდენ ადამიანს მომცემ? ავადგილის ფინდ
ანჩხლი ხომ არ არის შენი ცოლი? . ავაა .
სტუდარი მომდის? . ავაა ვარი . . .
. . . . . .
. . . . . .
. . .